საქართველოს ურბანული რეკონსტურქციის და განვითარების პროექტი
(GURAD)
ტენდერი დასახელება:
მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სერგიეთში საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა
ტენდერის #: EIB/MIMP/W/NCB/38-2017
წინასატენდერო შეხვედრის ოქმი

თარიღი: *4 მაისი, 2017 წელი*

სატენდერო დოკუმენტაციის „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 7.4 პარაგრაფის შესაბამისად **2017 წლის 4 მაისს, 16:00 საათზე** გაიმართა წინასატენდერო შეხვედრა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, სართული 3, ოთახი #316, თბილისი 0112, საქართველო.

დამკვეთის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ შესყიდვების სპეციალისტები და პროექტების შეფასების სამსახურის სპეციალისტები.

შეხვედრას ესწრებოდა ორი დაინტერესებული კომპანიის წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა შესყიდვების სპეციალისტმა, რომელმაც ზოგადად განმარტა წინასატენდერო შეხვედრის მიზანი.

დაინტერესებული კომპანიის მხრიდან დაისვა შემდეგი შეკითხვები:

1. კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას გულისხმობს მომრიგებლის ინსტიტუტი?

პასუხი: მომრიგებლის ინსტიტუტი წარმოადგენს მექანიზმს, კონტრაქტის ფარგლებში წარმოშობილი სადავო საკითხების გადასაწყვეტად. დავების გადაწყვეტის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის 43-ე, კონტრაქტის ზოგადი პირობების 23-ე და 24-ე, ასევე (მეორე ნაწილი) სატენდერო მონაცემთა ნუსხის დებულებებით. სატენდერო დოკუმენტაციის პირველი ნაწილის, კონტრაქტის ზოგადი პირობების 24-ე მუხლის (დავების გადაწყვეტის პროცედურა) თანახმად: „თუ კონტრაქტორის აზრით, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილება სცილდება კონტრაქტის ფარგლებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ან არასწორად იქნა მიღებული, პროექტის მენეჯერის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება მომრიგებელს უნდა წარედგინოს.“

2. კითხვა: შესაძლებელია თუ არა კომპანიამ ნაღდი ფულის მოძრაობის მოთხოვნა დააკმაყოფილოს მის მიერ, ტენდერის გახსნამდე დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული გადახდებით?

პასუხი: სატენდერო დოკუმენტაციის (მეორე ნაწილი) მე-3 თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) ფაქტორი 2.3-ის 2.3.3 ქვე-ფაქტორის თანახმად: „ტენდერის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ან ხელი მიუწვდება ფინანსურ რესურსებზე, როგორიცაა ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური საშუალებები, კონტრაქტის ფარგლებში საავანსო გადახდების გარდა, რათა დააკმაყოფილოს ნაღდი ფულის მოძრაობის მთხოვნა წინამდებარე კონტრაქტისათვის...“.

3. კითხვა: რას გულისხმობს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა: „კონკურსანტის წლიური შესაძლებლობა უნდა იყოს არანაკლებ 1,600,000 ლარის ექვივალენტის ოდენობით“?

პასუხი: კონკურსანტის ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა წარმოადგენს კონკურსანტის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვისა და შესასრულებელი სამუშაოების წლიური ღირებულების სხვაობას. კერძოდ, კონკურსანტმა კომპანიის 2015 და 2016 წლების სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიურ ბრუნვას უნდა გამოაკლოს იმ სამუშაოების ღირებულება, რომლებიც ჯერ არ შეუსრულებია მისთვის მინიჭებული კონტრაქტების ფარგლებში (იხ. სატენდერო დოკუმენტაციის მეორე ნაწილის მე-3 თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) 1.8 პუნქტი).

4. კითხვა: სადაზღვევო პირობები მოიცავს თუ არა პერსონალის დაზღვევას და როდის უნდა მოხდეს მისი წარმოდგენა?

პასუხი: დიახ, კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი სადაზღვევო პოლისი უნდა ითვალისწინებდეს პერსონალის დაზღვევას, სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) კონტრაქტის ზოგადი პირობების 13-ე პარაგრაფის თანახმად. სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) კონტრაქტის ზოგადი პირობების 13.2 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, სადაზღვევო პოლისი კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ობიექტის დაწყების თარიღამდე. (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) კონტრაქტის ზოგადი პირობების 13-ე პარაგრაფი და სატენდერო დოკუმენტაციის (მეორე ნაწილი) კონტრაქტის კონკრეტული პირობების 13.1 პარაგრაფი).

5. კითხვა: კომპანიას აქვს ერთი დასრულებული მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი და შემდგომში განხორციელებული კონტრაქტი, რომელიც არსობრივად წარმოადგენს პირველი კონტრაქტის გაგრძელებას. აღნიშნული ორი კონტრაქტი ერთობლივად აკმაყოფილებს მსგავსი კონტრაქტებისთვის მოთხოვნილ ღირებულებას. ჩაითვლება თუ არა ზემოაღნიშნული ორი კონტრაქტი ერთ კონტრაქტად, რათა დააკმაყოფილოს სატენდერო დოკუმენტაციის, შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმებით განსაზღვრული მოთხოვნა?

პასუხი: აღნიშნული შეკითხვა წარმოადგენს არა სატენდერო დოკუმენტაციის განმარტების მოთხოვნას, არამედ კომპანიის კვალიფიკაციის შეფასების თხოვნას ტენდერის გახსნამდე, რაც შეუსაბამობაშია სატენდერო პროცედურებთან.